

ზოგადი ინფორმაცია

პროექტის დასახელება: COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტი

სტატუსი: მიმდინარე

ხანგრძლივობა: 2020 წლის 21 მაისი - 2022 წლის 30 აპრილი

დონორი/დამფინანსებელი: მსოფლიო ბანკი და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი

პროექტის განმახორციელებელი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროექტის განმახორციელებელი ერთეული

ბიუჯეტი: 180 მლ. დოლარი

პროექტის მიზანი

პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოში COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული საფრთხეების თავიდან აცილება, გამოვლენა და მასზე რეაგირება და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მზადყოფნის ეროვნული სისტემების გაძლიერება საქართველოში.

პროექტის ძირითადი კომპონენტები

ნაწილი 1: COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირება

- COVID-19 შემთხვევების დადასტურება ზოგადი ტესტირების შესაძლებლობის გაზრდის გზით და კრიტიკული სამედიცინო საშუალებებისა და აღჭურვილობის ხელმისაწვდომობის გაფართოებით;
- საქართველოს ჯანმრთელობის სისტემების მზადყოფნის დაგეგმვისა და კლინიკური ზრუნვის შესაძლებლობების გაძლიერება;
- სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების განყოფილებების დაფუძნების, იზოლაციური საშუალებების, კრიტიკული სამედიცინო საშუალებების, აღჭურვილობის და მასთან დაკავშირებული სხვა საქონლის ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით, სახელმწიფო და კერძო სამედიცინო დახმარების დაწესებულებებისთვის დამატებითი რესურსების მობილიზება.

ნაწილი 2: ჯანმრთელობის ზომების გატარება COVID-19-ის შეკავების შესანარჩუნებლად სოციალურად დაუცველი პირების დროებითი შემოსავლის მხარდაჭერით

- სოციალურად დაუცველი და ღარიბი ოჯახებისთვის მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის საშუალებით ფინანსური დახმარების გაწევა;
- დროებითი ფინანსური დახმარების გაწევა იმ ოფიციალური მუშაკებისა და თვითდასაქმებული პირებისთვის, რომლებზეც უშუალოდ ან ირიბად აისახება COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული მიღებული ზომები და რომლებიც სხვაგვარად არ არიან დაფარული სოციალური დაცვის სხვა პროგრამებით.

ნაწილი 3: პროექტის მართვა და მონიტორინგი

- პროექტის მართვის ღონისძიებების განხორციელება, შემდეგის ჩათვლით: ფინანსური მართვა და შესყიდვების მოთხოვნები;

- პროექტთან დაკავშირებული მონიტორინგისა და შეფასების საქმიანობა, მათ შორის, მონიტორინგი, მონაცემთა შეგროვება და ფინანსური დახმარების უზრუნველყოფის ადგილზე შემოწმება;
- სხვა დავალებები, რომლებიც ეხება საერთო ადმინისტრირებას, შესყიდვას, ფინანსურ მართვას, გარემოსდაცვითი და სოციალურ ასპექტებს, კომუნიკაციასა და ურთიერთობებს.